დაიჯესტი

14 - 20 მარტი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

14 მარტს, 21 წლის მამაკაცმა სიეტლიდან, სასამართლო პროცესის მსვლელობისას აღიარა ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშში გაწევრიანების მცდელობა. ილვინ უილიამსი 2021 წლის ივნისში სიეტლ-ტაკომას აეროპორტში რეგისტრაციის დროს დააკავეს.

17 მარტს, ნიუ-იორკელ მამაკაცს, რომელსაც ბრალად ედებოდა თალიბანის დახმარების მცდელობა ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ ბრძოლაში, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გაერთიანებული სამეფო

ლონდონში გაიმართა კონფერენცია ტერორიზმის საკითხებზე, რომლის მიზანიც არის დედაქალაქის ცენტრად ქცევა პროექტი „მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ქალაქის“, ფარგლებში.

გერმანია

15 მარტს, გერმანიის უშიშროების სამსახურმა წარმოადგინა 10-პუნქტიანი გეგმა, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მიზნად ისახავს სულ მცირე 1500 ექსტრემისტის განიარაღებას.

ისრაელი

გასულ კვირას, დასავლეთ სანაპიროზე შეტაკების შედეგად ისრაელის თავდაცვის ძალებმა მოკლეს ორი პალესტინელი. ისრაელის სასაზღვრო პოლიციის განცხადებით, ლტოლვილთა ბანაკში მიმდინარე ოპერაციის განმალობაში დასავლეთ სანაპიროზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა პირმა შენიღბულ ოფიცერს გაუხსნა ცეცხლი.

სირია

ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, ალ-ჰოლის ბანაკიდან გაიქცა ორი ქალი, რომლებსაც კავშირები ჰქონდათ დაეშთან.

იემენი

15 მარტს, იემენის სამხრეთ რეგიონში მანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა 4 ადამიანი და დაიჭრა ათეულობით, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მეთაური. ამ დროისათვის მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, თუმცა საგულისხმოა აჯანყებული ჰუსიტების აქტივობა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

ტუნისი

ტუნისის ეროვნული გვარდიის ანტიტერორისტული დეპარტამენტის ქვედანაყოფების განცხადებით, მათ შეძლეს გამოევლინათ დაეშთან დაკავშირებული ჯგუფი, რომელიც თავს „ალ მუვაჰიდს“ უწოდებდა.

მაროკო

მაროკოში, ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დააკავეს დაეშთან დაკავშირებული 5 ეჭვმიტანილი, რომლებიც გეგმავდნენ თავდასხმებს უსაფრთხოების ძალებსა და მთავრობის წარმომადგენლებზე.

მალი

Human Right Watch-ის 15 მარტის განცხადებით, ალ-კაიდასა და დაეშთან დაკავშირებული ჯიჰადისტური ჯგუფების მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად 107-ზე მეტი მოქალაქე დაიღუპა მალიში ბოლო თვეების განმალობაში.

კენია

კენიის თავდაცვის ძალების სულ მცირე 9 ჯარისკაცი დაიღუპა გზაზე დამონტაჟებული ბომბის აფეთქების შედეგად. ოფიციალური პირების განცხადებით, ასაფეთქებელი ხელსაწყოს დამონტაჟება უკავშირდება ალ-შაბააბის დაჯგუფებას.

ნიგერია

15 მარტს, ნიგერიის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შეიარაღებული პირების თავდასხმას 11 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.